# I

# ნოემბერი

რიგითი ჟამის XXXI კვირადღე
ყველა წმიდანი (დდ)

2009

კვირა

გამოცხ. 7, 2-4.9-14; ფს. 23; I იოან. 3, 1-3;
მათ. 5, 1-12 ს თ

## ნეტარ არიან მოწყალენი, ვინაიდან ისინი შეწყალებულ იქნებიან. (მათ. 5, 7)

წმიდანთა ცხოვრება გულმოწყალებითაა
გამორჩეული! გიკვირს?
გულმოწყალეა ღმერთი,
გულმოწყალებით უხვია ღვთის ძე.
იესო ნეტარებად აცხადებს მათ,
ვინც მამა ღმერთისა და მისი ძის
ამ თვისებას ითავისებს!

# 2 ნოემბერი

მოხსენიება ყველა
მორწმუნე მიცვალებულისა

2009 ორშაბათი

იობ. 19, 1.23-27; ფს. 26; რომ. 5, 5-11; იოან. 6, 37-40 ს ი

## ქრისტე მოკვდა ჩვენთვის. (რომ. 5, 8)

სიკვდილზე ფიქრისას,
ხშირად რომ გვატირებს და ესოდენ გვაშინებს,
ერთადერთი ნუგეში ჩვენთვის რწმენის
სიტყვაა. ნეტარია, ვინც მას იცნობს!
იესო ქრისტე მოკვდა,
ამიტომაც სიკვდილი არ შეიძლება იყოს
ისეთი საშინელი, ჩვენ რომ გვეჩვენება.
იესო ჩვენთვის მოკვდა, ამიტომ ძრწოლვა
არ გვმართებს. განვაახლოთ მისდამი
ჩვენი რწმენა და ჩვენთვის ძვირფას
ადამიანთა სულები შევავედროთ მას.

# 3 ნოემბერი

საქართველოს გარდაცვლილ სასუ-
ლიერო პირთა მოხსენიების დღე. (მ)

## 2009 სამშაბათი

რომ. 12, 5-16; ფს. 130; ლუკ. 14, 15-24 III ი

## „ერთმა კაცმა დიდი პურობა გამართა და ბევრი მოიწვია" (ლუკ. 14, 16)

დღესასწაულზე ჩვენი
ზეციური მამა გვეპატიჟება.
მას სურს, გახარებულნი
და კმაყოფილნი გვიხილოს.
ჩვენ უარს ვამბობთ მის მიწვევაზე,
რადგანაც უფრო დიდი, უკეთესი,
ხანგრძლივი სიხარული გვეგულება!
თავს ვიტყუებთ! ამქვეყნიური წარმავალია
და ჩვენ მხოლოდ მწუხარება დაგვრჩება.
ღვთის მიწვევათა მიღება გვმართებს!

# 4 ნოემბერი

წმ. კარლო ბორომეო (მ)

## 2009 ოთხშაბათი

რომ. 13, 8-10; ფს. 111; ლუკ. 14, 25-33 III თ

## სიყვარული არ ავნებს მოყვასს. (რომ. 13, 10)

ეს სიტყვები მახსენდება, როცა მამაკაცი
მეუღლეს ტოვებს და სხვა ქალთან მიდის.
მას უეჭველად სწამს, რომ ჭეშმარიტი
სიყვარული იპოვა, მაგრამ მისი ეს
„სიყვარული“ ძალიან დიდ ტკივილსა
და ტანჯვას აყენებს მრავალ ადამიანს:
შვილებს, თუ ჰყავს ისინი, მშობლებს,
დებსა და ძმებს, მეგობრებს,
და, ბუნებრივია, მისდამი ღვთის მიერ
მინდობილ მეუღლეს.
და ვერც ღმერთი იქნება გახარებული!

# 5 ნოემბერი

2009 ხუთშაბათი

რომ. 14, 7-12; ფს. 26; ლუკ. 15, 1-10 III მ

## თქვენც იხარეთ ჩემთან ერთად.

(ლუკ. 15, 6)

მწყემსს, რომელმაც
დაკარგული ცხვარი იპოვა,
თავისი სიხარულის გაზიარება სურს!
უფალსაც სურს ყველა თავის შვილს
გაუზიაროს ცოდვილის მასთან მ
იბრუნების გამო განცდილი სიხარული.
დაუფიქრდი: შენი მოქცევაც
ახარებს ზეცასა და დედამიწას!

# 6 ნოემბერი

2009 პარასკევი

რომ. 15, 14-21; ფს. 97; ლუკ. 16, 1-8 III მ

## ჩამაბარე შენი სამნეოს ანგარიში.

(ლუკ. 16, 2)

კეთილო და წმიდა მამაო, ერთ დღეს მეც მო-
ვალ შენთვის ანგარიშის ჩასაბარებლად.
გეტყვი, თუ როგორ მოვექეცი შენს ნიჭებს,
როგორ განვიცადე შენს მიერ ბოძებული რწმენა,
როგორ ვექცეოდი ჩემს ძმებს,
როგორ მოვიხმარდი სახლს, მანქანას, ტანსაც-
მელს, სახელმწიფო თუ საზოგადო ინვენტარს.
ვიცი, რომ მე არაფერი მეკუთვნის და რომ შენ
ყველაფერზე უნდა მომთხოვო პასუხი.

# 7 ნოემბერი

2009 შაბათი

რომ. 16, 3-9.16.22-27; ფს. 144; ლუკ. 16, 9-15 III მ

## მაგრამ ღმერთმა იცის თქვენი გული. (ლუკ. 16, 15)

იესო პასუხს სცემს ფარისევლებს,
რომლებიც მას დასცინიან.
ის მათ არ გმობს, აფრთხილებს.
არსებობს ის, ვინც გულის სიღრმეშიც
ხედავს და ვინც ფულისადმი
იმ სიყვარულსაც გამოიტანს
სააშკარაოზე, რომლის დაფარვასაც
ისინი ცდილობენ.
კმაყოფილი ვარ, რომ ღმერთი
ჩემს გულში კითხულობს
და მიმითითებს, თუ რა არ არის სწორი.

# 8 ნოემბერი

რიგითი ჟამის XXXII კვირადღე

2009 კვირა

3 მეფ. 17, 10-16; ფს. 145; ებრ. 9, 24-28;
მარკ. 12, 38-44 IV მ

საქართველოს კათოლიკე ეკლესიის
ყველა წმიდანი

## მოვიდა ერთი ღარიბი, ქვრივი დედა-კაცი და ჩადო ორი ლეპტა. (მარკ. 12, 42)

იესო დიადს ხედავს, თუმცა არც მცირე
რჩება უყურადღებოდ და აფასებს მას!
ის მოჩვენებითს არ აცტყუებინებს თავს.
მნიშვნელობა აქვს მხოლოდ გულსა და სიყვა-
რულს, რომელიც მრავალი ქმედების დასაბამია.
ღმერთი მას კი არ უყვარს,
ვინც ბევრს გასცემს, არამედ მას,
ვინც ყველაფერს, ანუ საკუთარ თავს, გასცემს.

# 9 ნოემბერი

ლატერანის ბაზილიკის კურთხევა (დ)

## 2009 ორშაბათი

ეზეკ. 47, 1-2.8-9.12; ფს. 45; იოან. 2, 13-22 ს თ

## თქვენთვის, მორწმუნეთათვის, პატივია იგი. (1 პეტრ. 2, 7)

დღეს ერთ-ერთი პირველი ეკლესიის მიძღვნის დღესასწაულია, სადაც პაპი აღასრულებს მღვდელმსახურებას. უფალ იესოს რწმენა და სიყვარული მასთან ერთიანობას გვაგრძნობინებს. მისი სიტყვითა და მაგალითით განმტკიცებული ამ რწმენით ძლიერ ვამაყობთ. ჩვენი რწმენის წყალობით მთელი სამყაროსთვის ვართ სასარგებლონი, იმიტომაც, რომ ის ყველა ხალხისა და რელიგიისათვის სამაგალითო გულმოწყალებას ასაზრდოებს.

# 10 ნოემბერი

წმ. ლეონ დიდი,
პაპი და ეკლესიის მოძღვარი (მ)

# 2009 სამშაბათი

სიბრძ. 2, 23–3, 9; ფს. 33; ლუკ. 17, 7-10 IV თ

## ღმერთმა გამოსცადა და თავის ღირსად შერაცხა ისინი. (სიბრძ. 3, 5)

სიბრძნის წიგნის ავტორი
მართალთა სიკვდილზე საუბრობს.
მათ ცხოვრების მანძილზე ტანჯვა
განიცადეს, ტანჯვა, რომელიც არა სასჯელი,
არამედ ერთგულებისა და სიყვარული
გამოცდის შესაძლებლობა იყო.
მათი სიკვდილი კი ჯილდოს მიღების ჟამია!

# 11 ნოემბერი

წმ. მარტინი (მ)

## 2009 ოთხშაბათი

სიბრძ. 6, 1-11; ფს. 81; ლუკ. 17, 11-19 IV თ

## შეგვიწყალე, იესო მოძღვარო! (ლუკ. 17, 13)

ათი კეთროვანი ერთად მიმართავს იესოს.
მათ იციან, რომ იესოს
მათი განკურნების უნარი შესწევს.
იესო მათ თხოვნას უსრულებს:
მათგან მხოლოდ ხალხის
კანონთა დაცვას მოითხოვს.
რამდენჯერ მიგვიმართავს იესოსთვის
ჩვენთვის მნიშვნელოვან მომენტში
და რამდენჯერ შეგვისრულა მან თხოვნა!
გადავუხადეთ კი მას მადლობა საჯაროდ,
სირცხვილის განცდის გარეშე?

# 12 ნოემბერი

წმ. იოსაფატი (მ)

2009 ხუთშაბათი

სიბრძ. 7, 22–8, 1; ფს. 118; ლუკ. 17, 20–25 IV წ

## თვითონ თქვენშია ღვთის სასუფეველი. (ლუკ. 17, 21)

იესო, შენ პასუხობ შეკითხვაზე,
თუ როდის მოვა ცათა სასუფეველი.
ახლა ეს ვიცით:
შენ ხარ მეფე, მოვლენილი
მამა ღმერთის მიერ, რათა იმეფო,
ისე წარმართო ჩვენი ცხოვრება,
რომ ერთმანეთს დავეხმაროთ,
რათა ერთ ოჯახად ვიქცეთ,
ჩვენს შორის მხოლოდ სიყვარული,
მშვიდობა და სიხარული სუფევდეს.
გვიყვარხარ და გეთაყვანებით, იესო!

# 13 ნოემბერი

წმ.100.000 წამებული
(†1227წ.) (ნ.მ)

2009 პარასკევი

სიბრძ. 13, 1-9; ფს. 8; ლუკ. 17, 26-37 IV მ

## გაიხსენეთ ლოტის ცოლი. (ლუკ. 17, 32)

თუ ლოტის მეუღლეს გავიხსენებთ,
აღარ მივბრუნდებით უკან იმის დასანანებლად,
რომ ამქვეყნიური ამაოებანი მივატოვეთ,
რათა იესოს გავყოლოდით!
თუ გადაწყვეტილი არ გვაქვს, მასთან ერთად
ვიყოთ, დიდად ვერ მივუახლოვდებით მამა
ღმერთს, ფუჭი საქმეები ჩაგვითრევს, ,,სუსტი
გონება" მოგვატყუებს, რომელსაც არ ძალუძს
სიყვარულის აღმოცენება და მარადიული სი-
ცოცხლისკენ ჩვენი გაძღოლა.

# 14 ნოემბერი

2009 შაბათი

სიბრძ. 18, 14-16; 19, 6-9; ფს. 104; ლუკ. 18, 1-8 IV მ

## ყოველთვის უნდა ილოცონ და არ მობეზრდეთ. (ლუკ. 18, 1)

ყოველთვის ლოცვა?
ეს გამუდმებით ლოცვის სიტყვების წარმოთქმას კი არ ნიშნავს, არამედ გულის ღმერთის გულში, ჩვენი ხელის – მის ხელში ჩადებას, ჩვენი მზე-რის იქით მიპყრობას, საითაც ის იმზირება.
ყოველთვის ლოცვა უწყვეტად თხოვნას არ ნიშნავს, ეს ნიშნავს მამა ღმერთის მიმართ მუდმივ მადლიერებას, მუდამ მის გვერდით, მისი ძისა და წმიდანების საზოგადოებაში ყოფნის სურვილს.

# 15 ნოემბერი

რიგითი ჟამის XXXIII კვირადღე

2009 კვირა

დან. 12, 1-3; ფს. 15; ებრ. 10, 11-14.18;
მარკ. 13, 24-32 I მ

## ცა და მიწა გადავა, ჩემი სიტყვები კი არ გადავლენ. (მარკ. 13, 31)

უფალო იესო, გსურს მტკიცენი გვიხილო, შენზე დაყრდნობილნი, შენს სწავლებაში განმტკიცებულნი. ამიტომაც გვახსენებ, რომ ყველაზე მშვენიერი საგნებიც კი წარმავალია, მაშასადამე – ყოველივე ისიც, რასაც ადამიანე-ბისთვის თავის მოსაწონებლად ვნატრობთ. შენი სიტყვები მუდამ ინარჩუნებს ძალას, ყველაფერი დანარჩენი კი მხოლოდ წარმავალი მოდაა.

# I6 ნოემბერი

სნეულთა მფარველი
ღმრთისმშობელი (ნ.მ.)

2009 ორშაბათი

I მაკ. I, I0-I5.4I-43.54-57.62-64; ფს. II8;
ლუკ. I8, 35-43 I მ

ვარგავის ეკლესიის დღესასწაული.

## „რა გინდა, რომ გაგიკეთო?“ (ლუკ. I8, 4I)

იესოს თანამოსაუბრე ბრმა იყო.
უფალი ხვდებოდა ამ ადამიანის სურვილს,
მაგრამ სურდა, მას თავად გამოეთქვა
ის ყველას წინაშე.
ესეც ნიჭია: საკუთარი სურვილის
გამოთქმის უნარი მადლია,
პირველი ნიჭი, რომელიც
ყოველ ადამიანს ესაჭიროება:
საკუთარი გულის გადაშლა
და მსმენელის პოვნა.

# 17 ნოემბერი

წმ. ელისაბედ უნგრელი (მ)

2009 სამშაბათი

2 მაკ. 6, 18-31; ფს. 3; ლუკ. 19, 1-10 I თ

## დღეს შენს სახლში უნდა დავრჩე.

(ლუკ. 19, 5)

ეს სიტყვები მოისმინა ზაქემ იესოსგან,
ვინც მიუხვდა დიდ სურვილს,
შეხვედროდა იესოს.
იესო საკუთარ სახლში!
მოულოდნელი საჩუქარი!
ზაქე სიხარულით მასპინლობს იესოს,
რათა უჩვენოს მას
საკუთარი გადაწყვეტილება,
შეიცვალოს ცხოვრება
და ღვთის სურვილის
შესატყვილად იმოქმედოს.

# I8 ნოემბერი

## 2009 ოთხშაბათი

2 მაკ. 7, I.20-3I; ფს. I6; ლუკ. I9, II-28 I მ

## ცოდვილ კაცთან შევიდა. (ლუკ. I9, 7)

ყოველ ეპარქიას საკუთარი დღესასწაული
აქვს იმ ეკლესიის მიძღვნის აღსანიშნავად,
სადაც ეპისკოპოსი ასწავლის:
ესაა მისთვის, მისი მსახურებისთვის
ლოცვის შესაძლებლობა და, ამავე დროს,
შესაძლებლობა იმისა, რომ თითოეულმა
ადამიანმა განაახლოს სახარების
გამოცხადებისა და განხორციელებისთვის
ეკლესიის მსახურებთან თანამშრომლობის
თავისი ვალდებულება.
პირველი, არა ერთადერთი
თანამშრომლობის გზა ლოცვაა.

# 19 ნოემბერი

2009 ხუთშაბათი

I მაკ 2, 15-29; ფს. 49; ლუკ. 19, 41-44 I მ

## ღმერთმა დაგვიფაროს იმისაგან, რომ განვუდგეთ სჯულსა და მცნებებს. (I მაკ. 2, 21)

ეს სურვილი გამოხატა მატათიამ დევნის ჟამს წარმოთქმულ თავის მიმართვაში ხალხისადმი. ყველანი ვალდებულნი იყვნენ, უარი ეთქვათ რწმენაზე და არ დამორჩილებოდნენ ებრაული ტრადიციის წესს. მატათია კი მორწმუნეთა განდგომისგან დასაცავად იღწვოდა. შემდეგ გაქცევა მოუწია.

ეს მაგალითი მრავალ სიტუაციაშია აქტუალური!

# 20 ნოემბერი

2009 პარასკევი

I მაკ. 4, 36-37.52-59; საგ. I ნეშ. 29, 10-12;
ლუკ. 19, 45-48 I მ

## ჩემი სახლი სამლოცველო სახლი უნდა იყოს. (ლუკ. 19, 46)

იერუსალიმის ტაძრის იესოსეული
ეს განსაზღვრება განსაკუთრებულია.
ამ ფრაზიდან შევიტყობთ, რომ
ჩვენი ლოცვა თვით ღმერთს უხარებს გულს.
ეს ლოცვა მისკენ ჩვენი სწრაფვაა,
მასთან ახლოს ყოფნის
ჩვენი სურვილის გამოხატულება,
მისი ნების აღსრულების,
მასთან ერთად სიყვარულის სურვილი!

# 21 ნოემბერი

ნეტარ მარიამ ქალწულის
ტაძრად მიყვანა (მ)

2009 შაბათი

I მაკ. 6, 1-13; ფს. 9; ლუკ. 20, 27-40 I თ

**ახლა კი ვიგონებ იმ ბოროტებას, რაც ჩავიდინე იერუსალიმში.** (I მაკ. 6, 12)

მძიმე დეპრესიაში მყოფი მეფე ანტიოქოსი
ღვთის წინაშე ჩადენილ
თავის ბოროტებას იხსენებს
და საკუთარი სიცოცხლის სიყვარულით,
მონანიებას ცდილობს.
ერთი ექიმი მახსენდება, რომელსაც
მრავალი აბორტი ჰქონდა გაკეთებული.
ღვთის მადლის წყალობით
ჩადენილი მოინანია.
ღმერთისთვის მართლაც
არაფერია შეუძლებელი!

# 22 ნოემბერი

რიგითი ჟამის XXXIV კვირადღე;
იესო ქრისტე, სამყაროს მეფე (დდ)

2009 კვირა

დან. 7, 13-14; ფს. 92; გამოცხ. 1, 5-8; იოან. 18, 33-37 ს თ

ახალშენის ეკლესიის დღესასწაული.

## ყველა, ვინც ჭეშმარიტებისგანაა, ისმენს ჩემს ხმას. (იოან. 18, 37)

იესო პილატეს ელაპარაკება.
ცდილობს, დაარწმუნოს, რომ მის წინაშე დგას
არა სასწაულების ჩამდენი, არამედ ის, ვისაც
ადამიანები საკუთარი სიცოცხლის რეალიზე-
ბისთვის შეიძლება გაჰყვნენ!
ვინც იცნობს ჭეშმარიტ ღმერთს,
ჭეშმარიტებას, უსმენს იესოს,
ვინც სწორედ მამა ღმერთისგან მოდის!
პილატეს ეს არ ესმის, ჩვენ — გვესმის!

# 23 ნოემბერი

წმ. კლემენტი (ნ.შ.)

## 2009 ორშაბათი

დან. I, I-6.8-20; საგ. დან. 3, 52-56; ლუკ. 21, I-4 II მ

**აიხედა და დაინახა, რომ საგანძურში ჰყრიდნენ მდიდრები თავიანთ შესაწირავს.** (ლუკ. 21, I)

მდიდარი ადამიანები შესაწირავს
ხშირად იმისთვის გასცემენ,
რომ ხალხში აღტაცება გამოიწვიონ.
არავინ უნდა განვსაჯო, რადგანაც მეც,
გულუხვობას როცა ვიჩენ,
ამას იმისთვის ვაკეთებ, რომ მერე
საკუთარ თავს ვუთხრა: ყოჩაღად!
იესო ამასაც ხედავს და დუმს.
არავის უსახავს მაგალითად ასეთ ქცევას.

# 24 ნოემბერი

წმ.ანდრეა დუნგ-ლაკი
და თანამოძმენი (მ)

2009 სამშაბათი

დან. 2, 31-45; საგ. დან. 3, 57-61; ლუკ. 21, 5-11 II წ

## გაფრთხილდით, რომ არ შეცდეთ.

(ლუკ. 21, 8)

ადვილია შეცდომა!
საკმარისია, იესოს დასცილდე,
საკმარისია, იმაზე ფიქრი დაიწყო,
რომ სახარება აჭარბებს,
ან, რომ ეკლესია ძალაუფლების ცენტრია.
უკვე შემცდარი ხარ:
აღარ გრძნობ თავს ეკლესიის წევრად,
ქრისტეს სხეულის წევრად.
და უკვე აღარ ხარ დაცული
მრავალი სხვა საცდურისაგან,
რომელთაც სამყარო კვლავაც
უმზადებს ღვთის შვილებს.

# 25 ნოემბერი

2009 ოთხშაბათი

დან. 5, 1-6.13-14.16-17.23-28; საგ. დან. 3, 62-67;
ლუკ. 21, 12-19 II მ

## ყველა მოგიძულებთ ჩემი სახელის გამო. (ლუკ. 21, 17)

იესო მომხიბვლელი დაპირებებით
არ იკეთებს რეკლამას.
ის სიმართლეს აცხადებს და იცის,
რომ მრავალი ადამიანი გადაწყვეტს
მასთან ერთად დარჩენას,
მიუხედავად იმისა,
რომ მათ ჯვრის ტვირთვა მოუწევთ.

# 26 ნოემბერი

2009 ხუთშაბათი

დან. 6, 11-28; საგ. დან. 3, 68-74; ლუკ. 21, 20-28 II მ

## იერუსალიმი გათელილი იქნება წარმართთა მიერ. (ლუკ. 21, 24)

ებრაელისთვის ეს ყველაზე საშინელი ამბავია:
წმიდა ქალაქი წარმართთა ხელთ!
ქრისტიანებმა გული არ უნდა გაიტეხონ,
რამეთუ მათთვის წმიდა ქალაქია
ყოველი ადგილი, სადაც ისინი
იესოსთან ერთიანობაში ცხოვრობენ!
სოფელს, ქალაქს, რაიმე ადგილს,
უმთავრესად კი გულს, ოჯახს,
საკრებულოს წმიდად იესო აქცევს!

# 27 ნოემბერი

2009 პარასკევი

დან. 7, 2-14; საგ. დან. 3, 75-81; ლუკ. 21, 29-33 II მ

## არ გადაივლის ეს მოდგმა, ვიდრე ყველაფერი არ აჴდება. (ლუკ. 21, 32)

უფალო იესო, გვარწმუნებ, რომ მარად დარჩები, ყოველივე სხვა კი გადაივლის. ვინც შენ გულში გატარებს, არაფრის შიში არ უნდა ჰქონდეს. ის ქრისტიანები მახსენდება, ვისაც ერაყიდან მოუწია გაქცევა. მიუხედავად იმისა, რომ ყველაფრის მიტოვება მოუხდათ და განიცდიდნენ ამას, ისინი იღიმოდნენ და თავისუფლებად გრძნობდნენ თავს. შენიანს ღმერთი გულში ატარებს და ამიტომაც, ის არ იქნება მიტოვებული.

# 28 ნოემბერი

## 2009 შაბათი

დან. 7, 15-27; საგ. დან. 3, 82-87; ლუკ. 21, 34-36 II მ

## ყოველჟამს იფხიზლეთ და ილოცეთ.

(ლუკ. 21, 36)

ყოველ წუთს გულში ღმერთი გსურდეს,
გინდოდეს, მისიანი იყო,
მისი ნების აღსრულებას ესწრაფვოდე,
მისი სასუფევლის განხორციელებაზე ზრუნავდე!
უწყვეტი ლოცვა გულში აღსრულდება.
თუ ის არსებობს, გვაფხიზლებს, ნებისმიერი
მოვლენის გაგების უნარს გვანიჭებს.
უწყვეტად მლოცველი
მუდამ ყველაფრისთვის მზადაა.

# 29 ნოემბერი

ახალი ლიტურგიული წელიწადის დასაწყისი; ადვენტის I კვირადღე

2009

## კვირა

იერემ. 33, 14-16; ფს. 24; I თეს. 3, 12-4, 2;
ლუკ. 21, 25-28.34-36 I ი

### ახლოვდება თქვენი ხსნა. (ლუკ. 21, 28)

„გაიმართეთ და თავი ასწიეთ, რადგან ახლოვდება თქვენი ხსნა“, ამბობს იესო. ჩვენ მონობიდან გათავისუფლების მოლოდინში ვართ. ვინ გვაქცევს მონებად? სიკვდილის შიში. ის გვაიძულებს, დავემორჩილოთ მრავალ მბრძანებელს, რომლებიც სარგებლობენ ჩვენი ენერგიით და გვაქტყუებენ: ამქვეყნიური ამბიციები, ამაოებანი, სიამოვნებანი, მოდა, აზარტული თამაშები, ფრივოლური სანახაობანი და მრავალი სხვა.

მხსნელი იესოა!

# 30 ნოემბერი

წმ. ანდრეა, მოციქული (დ)

2009 ორშაბათი

რომ. 10, 9-18; ფს. 18; მათ. 4, 18-22 ს წ

ახალციხის საკრებულოს დღესასწაული.

## ვისაც სწამს მისი არ შეშფოთდება

(რომ. 10, 11)

წმ. ანდრიასადმი მიძღვნილ წირვაში
ამ მანუგეშებელ სიტყვას ვისმენთ.
იესოს რწმენა სიცოცხლის წყაროა,
მარადიული სიცოცხლის წყარო!
წმ. ანდრია აღმოსავლეთის ეკლესიის
მფარველია: ვილოცოთ დღეს იმისათვის,
რათა მთელი აღმოსავლეთის ეკლესია იყოს
მტკიცე მრავალი სერიოზული სირთულის წინაშე,
რასაც განიცდის და ჰქონდეს ჩვენი,
დასავლეთის ეკლესიის გულითადი
თანადგომის იმედი.